ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7208444

ნომერი: AR11055852

თარიღი : 02.09.2024

გაცემის თარიღი : 09.09.2024

გაცნობის თარიღი : 10.09.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ადამ მიცკევიჩი , N 29;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ხათუნა გაბუნია პ/ნ 01003009908
- თბილისი მუხიანი 2-ის დას. ვარდისუბნის ქ. N 87ა

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი

დემონტაჟი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლიც ეხება ქალაქი თბილისი , ქუჩა ადამ მიცკევიჩი, N29 საჩრდილობლის დემონტაჟის შესაძლებლობას.
პასუხად გაცნობებთ, რომ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.
მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების დანართი 1-ის თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (საკადასტრო მონაცემები N 01.10.14.015.039.03.521; ამონაწერი საჯარო რეესტრიდან – რეგ. N 892024076385 22/07/2024 წ; არსებული ფოტო, ფოტომონტაჟი, ესკიზური ნახაზი.) ქალაქგეგმარებით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქალაქი თბილისი , ქუჩა ადამ მიცკევიჩი, N29 დემონტაჟის სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას.
გაითვალისწინეთ: სადემონტაჟო სამუშაოები განხორციელდეს სამშენებლო რეგლამენტით გათვალისწინებული უსაფრთხოების ნორმის დაცვით; –ტერიტორიაზე ხაზობრივი ნაგებობების არსებობის შემთხვევაში საპროექტო ობიექტის დემონტაჟის საკითხი წინასწარ იქნას შეთანხმებული შესაბამის სამსახურებთან; -დემონტაჟისას დაცული და შენარჩუნებული იქნას სადემონტაჟო შენობის მიმდებარედ არსებული ხე– ნარგაობა, ხის– მოჭრის ან გადარგვის საჭიროების შემთხვევაში საკითხი წინასწარ იქნას შეთანხმებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესსაბამის სამსახურთან;
გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან)1 წელი.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.